№ 119 8 თებერვალი, პარასკევი 1866—1879 8 თებერვალი, პარასკევი № 119

დროება

ყოველ დღე ოთხშაბათს გარდა

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. Въ Тифлисѣ. Въ редакцію газ. „Дрозба".

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარწლისა—5 მ ნ., სასისთვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

Ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განცხადებისა: დიდ ასოებით ხაზზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტროქონზე—8 კაპ., ნეფელურ-ბრიფის ცალკოლოთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდად გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ოთხშაბათს, 13 ივნისს, საზაფხულო თეატრში იქნება ბენეფიცი

მ. მ. საფაროვისა

ამ ბენეფიციისათვის წინათვე ალაგების დაჭერა შეიძლება როინოვის ფოტოგრაფიაში, დვორცოვის ქუჩაზე, ზ. საროჯოვის სახლებში.

(3—1)

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ვერსალი, 4 ივნისს. ნაციონალურს კრებში იყო სჯა საფრანგეთის სახალხო განათლების მინისტრის ფერისაგან წარმოდგენილს კანონის პროექტზე შესახებ უმაღლესის განათლებისა. ბაასის დროს ბონაპარტისტმა პოლ ქასანიაკმა დაიწყო მინისტრის ფერრის გამტყუენება, რომ ის ცილის-წამებას ჰკიდებს ხელსაო და ყალბ დოკუმენტებს წარმოგვიდგენსო. კრების თავმჯდომარემ ბამბეტტამ მოსთხოვა ქასანიაკს, რომ უკადრისს სიტყვებს ნუ ხმარობს; ქასანიაკი მაინც თავისას არ იშლიდა, ამტკიცებდა, რომ ყალბი დოკუმენტები აქვს მინისტრსაო. პალატის მარცხენა მხარემ (რესპუბლიკურმა პარტიამ) მოითხოვა, რომ ქასანიაკს პარლამენტმა საყვედური გამოუცხადოს. ბამბეტტამ წინადადება მისცა კრებას, რომ ქასანიაკს განკიცხვა გამოეცხადოს პალატისაგან და დროებით დათხოვნილი იქმნეს ნაციონალურ კრებიდამ. მარცხენა მხარემ თანხმობა გამოაცხადა ამაზედ. კრებაში საშინელი ხმაურობა და ყვირილია. თავმჯდომარემ (ბამბეტტამ) დაიხურა შლიაპა და გამოვიდა კრებიდამ; სხდომა დაიხურა.

ბერლინი, 4 ივნისს. იტალიამაც უკმაყოფილება გამოუცხადა ეგვიპტეს ქედივს ფინანსის დეკრეტის შესახებ.

ოდესსა, 4 ივნისს. ხერსონის ხაზინაში ერთი მილიონი და ნახევარი მანეთი მოიპარეს; ამას გარდა მოპარულია აქციზის პატენტები და პასპორტის ბლანკები. ძერდებს გაუთხრიათ მიწა და ძირიდამ წაულიათ ყველაფერი.

პეტერგურლის ბირჟა, 4 ივნისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	მან.	კაპ.
პირველი გამოცემის —	95	50
მეორე— — — — —	95	25
მესამესი — — — —	95	„
მეოთხესი — — — —	95	50
აღმოსავლეთის პირ. —	93	„
აღმოსავლეთის მეორე—	92	62
აღმოსავლეთის, მესამე—	„	„
ოქრო, 1/2 იმპერიალი—	8	46
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი —	94	93

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

	მან.	კაპ.
პირველი სესხის — —	241	75
მეორე სესხის — — —	236	25

1 მანეთი ღირს:

ლონდონი — —	23—69	პენსი
ამსტერდამი— —	119—	„ ცენტი
ბერლინი— — —	201—75	პენინგი
პარიკი — — —	248—	„ სანტიმი
ევროპასიის კერასინი	— „	— „

ფელეტონი

პაატა თემურიშვილი *)

გმირი მეფის ირაკლი მეორისა.

(ბაგონილი ამბავი)

ეს პაატა თემურიშვილი რომ მოსულა მეფე ერეკლესთან თავის მეომარი ბიჭებით, მას შემდეგ არ გასულა დიდი ხანი, რომ მეფე მომზადებულა სოფელი პატარძეულისაკენ გამგზავრებასა, რადგანაც იმ დროს პატარძეულში ციხე დაქცეული ყოფილა და უნდა ენახა, რომ გაეახლებინა. მეფეს, რასაკვირველია, წაჰყვნენ ეს პაატა და თვისი ხლებულნი თოფ-იარაღით.

პატარძეულის მახლობლივ უნახავთ შებმული ურმები რამდენიმე ლეკებით; ამათ გაუჩქარებიათ ფეხი და საჩქაროთ შესულან სოფელში; მისულან ციხესთან, უნახავთ, რომ ლეკები შემორტყმიან ციხესა და შიგ დამწყვდეულს ხალხს რაღასაც სთხოვენ თურმე. დაეცემა მეფე ამ პაატა თემურიშვილით იმ ლეკებს და ისე იფრინამენ როგორც მელებს; ზოგს მოჰკლაენ და ზოგს ძალაქისკენ წამოიყვანენ ტყვეთა. შემდეგ ამის იმ ციხიდამ ხალხი გამოსულა და უმბნიათ მეფე ერეკლესთვის, თუ როგორ ააოხრეს მათ ის სოფელი და სხვა. მეფის ბძანებით მაშინათვე დაუწყვიათ იმ ციხის შენება.

ამ შენობის დროს პატარძეულელ გლეხებს გამოუღიათ მასზე ეს ლექსი:

პატარძეულის ციხესა ლეკნი გარსა არტყიანო,
სამი დღე-ღამ გარეშამო რკინით ძირსა უთხრიანო,
ოგლებსა გამოიყვანენ ცრემლით დაბანენ პირსაო,
მარტო პაატამ იფრინა სამოცი ლეკი მტრისაო!..
ერეკლემ ბელადი მოკლა, ლეკი მწარეთა სტირსაო,
სარდალმა და სახლთხუცესმა გმირობა ქნეს ქვეყნისაო,
პაატა თემურიშვილმა სისხლი დაღვარა მტრისაო!

მეფემა შუბლზე აკოცა ომისა გარდახდისაო.

ამ პირველის მაგალითით პაატა თემურიშვილს დაუმტკიცებია მეფის ირაკლისთვის თავის მხნეობა და მეფის ერთგულება. როდესაც ციხე აუშენებიათ, (1758 წელს), მეფე დაბრუნებულა ძალაქში თავის ამალით და ერეკლეს პაატა თემურიშვილისათვის უპირატესი ადგილი მიუნიჭებია. ამავე დროს თფილისში გავარდნილა ხმა, რომ ვაშლოვანელი თამრო თათრებს დაუჭერიათ და წაუყვანიათო. ეს თამრო გათქმული ყოფილა მთელს საქართველოში: კაცურს ტანისამოსს იცვამდა თურმე და ხშირათ ომშიაც ერეოდა. ამ ქალზე ქალაქში თუ სოფელს ვაშლოვანში გამოუთქვამთ შემდეგი ლექსი, რომელსაც თემურაშვილი ძალიან აუფელვებია:

ვაშლოვანო, შემკობილოო, ბალნისო მეფის სოფელოო,
მანდ რომ გმირი დავიკარგე, თათრებს შეკრული ეყევარო;
თუ ბიჭები ხართ, მიშველეთ, დამიხსენთ, თქვენი ტყვე ვარო,

*) „Дроэба", № 118.

საქართველო

დღიური

** „დროების" მე-106 და 107 ნომერში დაბეჭდილი იყო სოფ. მეტეხიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომლის ავტორი, თუ ახსოვს მკითხველს, მოგვითხრობდა, რომ უფ. თფილისის გუბერნატორისაგან გორის უეზდში გამოგზავნილმა თელავის უეზდის უფროსმა სხვათა შორის, სოფელს მეტეხში ასენიზაციის მიზნით (გასასუფთავებლად) ზოგან სახლი დააქციაო, ზოგან ვენახებს ადგილი წაართვა გზის გასასუფთავებლადო, ზოგან ხეხილი ააჭრევინა გლეხებსაო, ზოგან ყორღნები ამოაღებინაო, ხალხი მოაგროვაო, ქათმები მოატანინესო და სხვ. და სხვ.

ამ საგნის თაობაზე ჩვენ მივიღეთ ოფიციალური ცნობები, რომლიდამაც სჩანს, რომ ჩვენს პატივცემულს კორრესპონდენტს ცოტა არ იყოს გადაუჭარბებია. ამ ცნობებიდამ ჩვენ შევიტყეთ, სხვათა შორის, რომ თელავის უეზდის უფროსი მართალია გორის უეზდში ყოფილა გაგზავნილი სოფლების დასახედავად და გასასუფთავებლად, მაგრამ ის ყოფილა გაგზავნილი არა როგორც ოფიციალური პირი, არამედ როგორც კერძო პირი ხალხის ჩასაგონებლად, რომ მიიღონ ზომა, შემდეგში მაინც აარიდონ თავი სხვა-და-სხვა ავათმყოფობის გავრცელებას.

ამას გარდა გვარწმუნებენ, რომ თ. ნ. ჩოლოყაშვილს არც ერთი ყორღანი არ ამოუძვრიაო, არც ერთი ქვით-კირის სახლი არ დაუქცევიაო, არც ვენახები და ხეხილები გაუფუჭებია ვისმესთვისაო და სხვ. ადგილობრივ აზნაურებს ერთი პირი ამოურჩევიათ თავის შორის წიპრუშკა მაღალაშვილი, რომლისთვისაც მიუნდვიათ იმათ მამულზე გზების გაფართოება, ღობეების გაწევა და სხვა, რასაც გუბერნატორისაგან მიღებული ინსტრუქცია თხოულობდაო.

იმ დღეს დღესასწაული ყოფილა და ამიტომ ხალხი თავის-თავად ყოფილა სოფ. მეტეხში შეგროვილი, არავის არ მოუხმია. ქათმებისა და საზოგადოთ საჭმლის მოგროვება სოფელში თ. ჩოლოყაშვილს არ დასჭირდებოდაო, რადგან უფ. გორის უეზდის უფროსმა ყოველ გვარი ხორაგი საკმაოდ გამოატანაო.

ჩვენ მოგვყავს ქვევით ოფიციალური ინსტრუქცია (დარიგება), რომელიც უფ. თფ. გუბერნატორს მიუცია გორის უეზდის სანიტარებისათვის; ამ ინსტრუქციიდამ სჩანს—რა უფლება და მოვალეობა აქვს სანიტარებს. რამდენათაც ჩვენ ვიცნობთ თ. ნიკ. ჩოლოყაშვილს, რამდენათაც იმის კეთილ-გონიერი და ხალხის სასარგებლო მოქმედება გაგვიგონია, დარწმუნებული ვართ, რომ ამ ინსტრუქციის მოთხოვნილებას, თუ არ შეამსუბუქებდა, არ გადაამეტებდა.

** იმ ახალ ჟურნალ-გაზეთების სიაში, რომელიც ამას წინათ მოვიყვანეთ ჩვენს გაზეთში, დაგვავიწყდა მოგვეხსენებინა კიდევ ორი რუსული გაზეთი, რომელთაგან ერთი, სახელად „Трудъ" (შრომა) მომავალი ივლისიდამ უნდა გამოიცეს რუსულ-სომხურ ენებზე უფ. ტერ-მელიქსეტოვის რედაქტორობით, და მეორე „Зурна" (ზურნა), რომლის გამოცემასაც „ობზორის" ადრინდელი თანამშრომელი უფ. სიმბორსკი მომავალი წლიდამ აპირებს; ეს იქნება, როგორც ამბობენ, სატირიკული გაზეთი კარიკატურებით. მაეც და უფ. ტერ-მელიქსეტოვის გაზეთიც კვირაში ერთხელ გამოვაო.

** ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ მოკლე ხანში რუსეთიდამ ჩამოსულა აქ ერთი ვიღაც მცოდნე შაქრის კეთებისა, რომელსაც განზრახვა აქვს თურმე, რომ აქაური ფულიანი ხალხის დახმარებით, ლენკორანის უეზდში შაქრის ქარხანა გამართოს. ამ განზრახვით იმას უკვე აუღია მთავრობისაგან კარგი მიწა ლენკორანის უეზდში და ამას გარდა აქციზის შესახებაც ბევრი შემსუბუქება და უპირატესობა მიუნიჭებია მთავრობას.

შაქრის ქარხნის გასამართავად ამ თავითვე 300,000 მანეთი არის თურმე საჭირო და ამ პირს იმედი აქვს, რომ ამ ფულს აქვე კავკასიაში იშოვნის, რადგან ისეთ ალაგას და ისეთის პირობებით გაიმართება ქარხანაო, რომ იმისაგან პატრონებს დიდი მოგება ექნებათო.

ჩვენთვის ეს ამბავი თუ კი გამართლდა, მით იქნება სასიამოვნო, რომ შაქარი, უეჭველია, მაშინ გაიაფდება ჩვენში; აღარ შეგვეშინდება მაშინ, რომ ვაი თუ ზღვა წახდეს და უფ. ალელოვმა და იმის მსგავს სხვა პირებმა ერთი-ორად გახადოს ინგლისის ან რუსეთის შაქარიო.

მაგრამ ყველაზე უფრო მომეტებული გასავალი ლენკორანის შაქარს სპარსეთში ექნება, სადაც ამ ჟამად ინგლისიდამ მიდის ხოლმე შაქარი.

** მოგვყავს სახელები იმ ექვს ყმაწვილ კაცისა, რომელთაც წელს პირ-

---

სამი დღეა მშიერი ვარ, ხელ-ფეხ შეკრული ვგდივარო!

თამროს დაჭერის ამბავს რომ მეფემდისინაც მიუღწევია, მეფეს ორივე მუხლებზე ხელი შემოუკრავს და უთქვამს: ვაიმე შვილო თამროვო! და შეწუხებულა მწარეთ. ეს რომ პაატა თემურისშვილს უნახამს, მოუხსენებია მეფისთვის, რომ ნება მიბოძეთ და თუ ის ქალი ამ ერთ კვირაში აქ არ მოვიყვანო, თავზე ლეჩაქი დამხურეთ და ვირზე შემსვითო შესარცხვენათ ჩემი ვაჟ-კაცობისაო. ერეკლეს უთქვამს: არა, შვილო, მე შენ მაგას როგორ გაკადრებო და თუ უშველი მას რამეს და დაიხსნი, ეგ შენი მეტი ბიჭობა იქნება, რომლისთვის ღმერთიც გადაგიხდის, თუ მე ველარ შევსძელი სამაგიეროს გადახდაო. ამ სიტყვების შემდეგ თემურაშვილი მომზადებულა თავის თანახლებულებით მეფის ბძანებითა და წასულან ყარაბაღისკენ; კითხვით შეუტყვიათ ის ადგილი, სადაც ის ქალი ჰყოლიათ დატყვევებული. ერთს თათრულათ ჩაუცვამს და ისე შესულა ყარაბაღს, ცხენის ვაჭრობა დაუწყვია და როდესაც გაუგია იმ ქალის ამბავი, მაშინვე დაბრუნებულა ამხანაგებისაკენ, შეუტყობინებია და იმავე ღამეს დასცემიან იმ თათრის სახლსა; სრულიად უჩუმრათ ამოუწყვეტიათ და ის ვაშლოვნელი თამროც დაუხსნიათ და მეორე თუ მესამე დღეს თფილისში მეფე ერეკლესთან მოუყვანიათ. მეფეს ძალიან გახარებია და პაატა თემურიშვილისთვის და მისის მეგობრისათვის თავის ხელით ულევინებია ღვინო თავის აზარფეშებით, შუბლზე გადუკოცნია ყველასათვის და თავის ხელით დაუთვლია ხორაგი მათთვის ვერცხლის სინზე.

შემდეგ მუხრან ბატონებში და ერეკლე მეფის შორის რაღაც განხეთქილება მომხდარა, რადგან მუხრან-ბატონიშვილები ძალიან მტრობდნენ მეფე ერეკლესა და აგრეთვე გლეხ ხალხსაო. პაატას თურმე უთქვამს მეფისთვის: ნება მომეცი და იმ ძუკნა მუხრან-ბატონიშვილებს სულ ვირზე შევსხამ და ისე მოვიყვან თქვენ წინ ლეჩაქ დახურულებს დასაჩოქებლათაო. მეფეს ნება არ მიუცია. შემდეგ კი ერთხელ ერთი რაღაც უწესოება მომხდარა მუხრან-ბატონიშვილებს შუა და ერეკლესი, რომლის დამნაშავეთ ეს პაატა უცვნიათ მუხრან-ბატონიშვილებს და განუძრახავთ მისი მოკვლა, მაგრამ ვერ მოუკლავთ კია.

როდესაც დავით სარდალი და იოსებ ეშკილაბასი მეფის ბძანებით სპარსეთში მოემზადნენ წასასვლელათ ყეინთანა, ეს პაატაც მათ თან გაჰყვა და დაიკარგა კიდეცა სპარსეთში; თათრებმა დაიჭირეს, მოკლეს თუ ამ ზემოხსენებულ პირებმა მოკლეს,—ეს არავინ იცის. მხოლოთ, როდესაც ეშკილაბასი და დავით სარდალი სპარსეთიდამ მოვიდნენ, თქვეს, რომ პაატა თემურიშვილი გზაზე დაგვეკარგა, მგონი რომ არ უნდოდა იქით წამოსვლა და მიტომაო; და რასაკვირველია, რომ ის აქეთ დაბრუნდებოდაო. ეს ამბავი მეფე ერეკლეს ძალიან ეწყინა და იტირა კიდეცაო, ბევრიც აძებნინა შემდეგ მთელს საქართველოში და სათათრეთშიო, მაგრამ პოვნით კი ვერ იპოვნეს და ვერც რამ სიტყვით შეიტყეს მასზე.—

ასე ამგვარათ ეს გამოჩენილი გმირი და მეფისა და ხალხისათვის ერთგული კაცი, როგორც ამბობენ, თავადიშვილების წყალობით დაიღუპა...

ზ. მთაწმინდელი.

ველად გაათავეს კურსი ბორის სამასწავლებლო სემინარიაში: უუ. ხუციევი, სუდაკოვი, შარალუკოვი, ტატიშვილი, ტერ-აბრამოვი და მენდელი. ყველა ესენი უკვე დანიშნული არიან სხვა-დასხვა ადგილებში მასწავლებლებად.

ბაზეთს „ავეკაზში“ იწერებიან, რომ მომავალ წელს ამ სემინარიაში 14 ყმაწვილი შეასრულებს სწავლასაო.

*** ზემოხსენებულსავე გაზეთში დაბეჭდილია ოზურგეთიდამ მიღებული კორრესპონდენცია, რომელიც გვაცნობებს, რომ, ადგილობრივ უეზდის უფროსის განკარგულებით, გასულ მარტის თვეში გამოუყვანიათ სოფლის ხალხი და გაუყვანიათ მაგარი კედელი მდ. ბჟუბზე შემოქმედის მონასტირთან, იმ ადგილას, საცა ამ სამი წლის წინათ გადმოსქდა წყალი და მთელი ოზურგეთი მოიარაო. კედელი ისე მაგრად გაკეთესო, რომ ახლა ოზურგეთს არაფრის შიში აღარ უნდა ჰქონდესო.

*** სომხური სცენის მოყვარეებმა გამართეს გუშინ, 6 ივნისს, უფ. არწრუნის თეატრში წარმოდგენა, რომლის შემოსავალი დანიშნული იყო უდროოთ მიცვალებულ სომხის ნიჭიერ მოთამაშის ამერიკიანის ოჯახის შესაწევნელად.

*** ერთს პეტერბურღის გაზეთში იწერებიან, რომ სამეცნიერო აკადემიის სტამბაში იბეჭდებაო ამ ჟამად უფ. საბინინისაგან შედგენილი წიგნი, სახელად: „აქტები საქართველოს ეკკლესიისა და სამეფოისა“. ამ აქტში ბევრი ძვირფასი ისტორიული მასალა არის მოყვანილიო. ჯერ ქართულად იბეჭდებაო და ამ ნაწილში ბევრი მშვენიერი სურათებია (ლეიპციღში გაკეთებული) საქართველოს გამოჩენილ პირებისაო; როცა ქართულად დაიბეჭდება, მერე უფ. საბინინი რუსულად სთარგმნის ამ წიგნსაო.

„დროების“ კორრესპონდენცია

საბარეჯო, 28 მაისს. საგარეჯოში ახალი ამბავი არაფერია, გარდა იმისა რომ ივრის პირები ნათესი მინდვრის თაგვმა საშინლად გააფუჭა; მაგრამ ხალხს დიდი იმედი აქვს სიმინდის მოსავლისა და ღვინისა. ვენახებს ძალიან ასხია ასე, რო მომსწრენი არ არიან ასე დასხმული ვენახებისა, თუ ბოლოამდინ ასე შერჩა.

მეორე ახალი ამბავი ის არის, რომ ჩვენს ნაცვალს ქავთუაშვილს მოსთხოვეს ანგარიშები ამორჩეულთ მოანგარიშე პირთ; მაგრამ ეს წინათვე დაჩეეული ჭამას, და ანგარიშების ჩაბარებას კი არა, ძალიან ურჩობდა და ანგარიშებს ხალხს არ აბარებდა. აბათ ამის სიკერპეზე დაადგინეს განჩინება, სთხოვეს გუბერნატორს დაენიშნათ ჩინოვნიკი და მის თანადასწრებით მოეთხოვნათ ანგარიშები. გუბერნატორმა მაზრის უფროსს გადმოსცა განჩინება, მაზრის უფროსმა პრისტავს ყალანთაროვს.

ყალანთაროვი მოვიდა, მოსთხოვა ამორჩეულთ ყრილობის მინდობილობის ქაღალდი; ამათ წარუდგინეს; მოინდომა მაინც ცნობა შეეკრიბნა, ქავთუაშვილი თუ რაში იყო დამნაშავე. ამ დროს პრისტავს ამორჩეულთ წარუდგინეს ერთი ბარათი, რომელიც მიუცია ქავთუაშვილს საზოგადოებისთვის ამ გვარი: რადგან მე ნაცვალმა სოლომან ქავთუაშვილმა საკანტორო ფული სამი წლისა მოვკრიფე და კანტორაში აღარ შევიტანე და ჩემზე დარჩა ოთხმოც-და-ათი თუმანი ფული, მოვალე ვარ ან ხაზინაში წარვადგინო და კვიტანციები წარმოგიდგინოთ, ან საზოგადოებას ჩავაბარო. ამაზე მოსთხოვეს კვიტანციები. ამან რაღაც კვიტანციები წარმოუდგინა, რომელიც არ მიიღეს მისთვის, რომ იმ სამი წლების ფულები უ. პრისტავმა ნათიევმა ზეკუციით მოკრიფა და ისე წარადგინეს ხაზინაში; რადგან ქავთუაშვილს არ შეეტანა ის ფული, შემდეგ მოსთხოვეს სახელმწიფო სიები, რომლითაც ქავთუაშვილი ხალხს სახელმწიფო ხარჯს აწერდა და თვითონვე ართმევდა; სხვა ყველა წლების სიების წარმოდგენაზე უარი ჰყო, დაეკარგეო. მხოლოდ ერთი წლის სია წარმოუდგინა 1878 წლისა, საიდგანაც აღმოჩნდა, რომ თხუთმეტი თუმანი მომეტებული აეკრიფნა სახემწიფოს გარდა, ზოგნიც სიაში არ ეწერა და ხარჯი კი ერთმია თავის სასარგებლოდ; ზოგისათვისაც შეწერილზე მომეტებულებიც ერთმია.

თუ ამ ერთს წლის სიაში ასე იყო, რა იქნებოდა წასული წლების სიებში, ვინ იცის?

ბოლოს ჩამოართვა პრისტავმა ხელწერილი, რომ ეს უნდა ყოველ ამორჩეულთ კაცების დაბარებით მათთან უნდა გამოსცხადდეს ანგარიშების ჩასაბარებლად; წინააღმდეგ შემთხვევაში მიეცემა პასუხის გებაში.

წავიდა პრისტავი; ჩამოართვეს ხელწერილი; მაგრამ ამან მაინც თავისი არ მოიშალა, რამდენჯერაც დაიბარეს, არ გამოცხადდა; განგებ სოფლის სუდშიაც შეუტანია ქაღალდი, ჩქარა მიანგარიშონო. აი ერთხელ მოიწვიეს, ძლივს გაბედა მოსელა, მოვიდა გინებით, ლანძღვით და მუქარით, თუ—ვინ ბედავს მასთან ანგარიშს; ბოლოს ჯავრობით თხოულობს, რომ ამოირჩიონ მედიატორენი სამნი გარეშენი, რომლებსაც ჩავაბარებ ანგარიშებსაო. დათანხმდნენ მის თხოვნაზე; ამოარჩევინეს ერთი მედიატორე, ორიც ამორჩეულთ ამორჩიეს, დადეს ხელშეკრულობის წერილი. ბამოვიდა ის, რომ მისგან მოყიდული ამორჩეულთ შორის სამნი გაპარნენ, თითონაც გაიპარა და შეკრულობის წერილი დარჩა უქმად; იბარებენ და აღარ მოდის...ბანიზრახეს კიდევ დასმენა; მაგრამ ეეღარ მოახერხეს, რადგან მწერალიც გაეპარათ; დაიშალა ამითი საქმე.

ქავთუაშვილმა იცის ხალხის ხასიათი და ისე იქცევა; კარგათ იცის, რო ამ ნაირის მოქმედებით მოაბეზრებს ყველას და თავს დაანებებენ-გლეხები, რადგან წინათაც ასე უქნია და ახლაც ასე სურს ოინები ჩაიდინოს; მაგრამ არ ეიცი კიდევ გავა ხიდზედ თუ არა. იმან ძალიან კარგათ იცის ვისაც ართმევდა სახელმწიფოზე მომეტებულს; ისინი არიან მუშა უხარო ხალხნი, რომლებიც დღიური მუშაობით ცხოვრობენ, მუშაობას თავს ვერ დაანებებენ და ვერ შეატყობინებენ მთავრობას ქავთუაშვილისაგან მიყენებულს მწუხარებას. მინახავს, რო ამისთანა გლეხი შუა ბაზრის ბოძზე მიეკრას და თავსა და პირში ეცემნოს სახრით: დარჩენილია სახელმწიფო ფული შენზე ერთი მანეთი, მომეცი! სახელმწიფო რო ყოფილიყო აბა ასე რას მოეკიდებოდა?

ხშირათ გვესმის გარეშე ხალხებიდგან და შინაურებიდგანაც, რო საქართველო ბუნებით მდიდარია და მცხოვრებნი გლეხნი ღარიბებიო. ეს ნამდვილი არის, რომ საქართველო ღარიბია. ამ სიღარიბეს ზოგნი აწერენ ქართველების დაუდევრობას და გულ-უხობა; ზოგნიც სიზარმაცეს და სიზანტეს. ეს უკანასკნელი შეცდომითი აზრია: ჩვენ ძალიან კარგათ ვიცით, რომ ქართველი გლეხკაცობა განუწყეტლივ დღე და ღამ ებრძვის დედა-მიწას და დედამიწაც მას აძლევს საკმაო სარჩოს; მაგრამ ისეთი მგლეჯავები ჰყავს, რომლებიც უჩენრათ სწუწნიან მას და იგი, უცოდინრობისა გამო, ვერ იგებს მიზეზს—თუ რა მანქანებით სწუწნიან მას და ვერც ადგება ისეთ გზას, რომლითაც შეუძლიან გამოიხსნას თავი...

ა. ქავთელი

ინსტრუქცია (დარიგება) ბორის უეზდის ხალხისაგან ამორჩეულ სანიტარებისათვის

მუხლი 1. იმ გინზრახვით, რომ სოფლებში არ გავრცელდეს რომელიმე გადამდები ან სხვა ავათმყოფობა, ქუცილებლად საჭიროა საჩქაროთ გასუფთავდეს სოფლები ნაგავისა და სხვა უწმინდურებისაგინ.

მუხ. 2. უნდა გასუფთავდეს არაოუ მარტო სოფლები; შარა-გზები და აუზები, არამედ ეზოებიც და სახლებიცა.

მუხ. 3. ტბიანი და ჭაობიან ადგილები, აგრეთვე თხრილები რომლიდამაც პირუტყვის ნაგავისაგან სიმყრალე ამოდის, უნდა გაიწმინდოს, უნდა გაივსოს მიწით ისე, რომ იქ დამპალი წყალი არ შეჩერდეს.

მუხ. 4. შარა-გზა სამი საჟენი სიფართოვე უნდა იყვეს; იმის გარშემო თხრილები ნახევარ-არშინი სიფართე და ამდენივე სიღრმე. სასურველია, რომ სოფლის სხვა ქუჩებიც ამ სიფართე იყოს; მაგრამ ყოველ შემთხვევაში ყველა ქუჩებზედ მოყრილი იყოს წვრილი ქვა და ქვიშა.

მუხ. 5. ბზები და იმის იქით-აქეთ თხრილები ისე უნდა იყვეს გაკეთებული, რომ წყალი არსად არ დადგეს.

მუხ. 6. სადა სოფლის შარა-გზა სამ საჟენზე ნაკლებია უნდა გასწიონ იმდენზე, რომ სამი საჟენი სიფართე მიეცეს და ამას გარდა ერთი არშინი თხრილისთვის დარჩეს.

მუხ. 7. თუ ვინიცობაა გზის გაყვანის დროს, ერთის მხრით ქვითკირის მაგარი შენობაა და მეორეს მხრით კი ან ძველი სახლი, ან ღობე, ამ შემთხვევაში ღობის პატრონი ვალდებულია გასწიოს თავის ღობე იმდენზე, რომ გზას სამი საჟენი და 1 არშინი დარჩეს.

მუხ. 8. ამ მეშვიდე მუხლში მოხსენებულს შემთხვევაში მაგარი შენობის პატრონი ვალდებულია, სოფლის ორი ანუ სამი კეთილ-სინიდისიან კაცის დაფასებით გარდაუხადოს ადგილის ან ძველი შენობის ფასი იმ მეპატრონეს, რომელსაც გზის გასაფართოებლად გააწევინეს ღობე.

მუხ. 9. თუ ვინიცობაა გზის ორივე მხრით მაგარი ქვითკირის კარგი შენობაა, რომლების დანგრევა და გაწევა არ შეიძლება, მაშინ ამ შენობებს შუა გზა ისევ ისე დარჩება; მხოლოთ ქვაქვიშა კი აქაც უნდა მოაყარონ.

მუხ. 10. მდინარეები, ღელეები და წყაროები, რომლებიდამაც ხალხი წყალს ხმარობს, სუფთად უნდა შეინახონ, ნაპირები მოსწმინდონ და, თუ დიდი წყალი არ არის, ნაგავი არ უნდა ჩაჰყარონ.

მუხ. 11. ამორჩეული სანიტარები ვალდებულნი არიან, თვალ-ყური ეჭირონ დუქნებზე, ნება არ უნდა მისცენ არავის დამპალი და საზოგადოთ გაფუჭებულის ხორაგის გაყიდვისა: ამათივე მოვალეობაა აგრეთვე, რომ ყველა მედუქნეებს სასწორი და საწყაოები კანონიერი და ჯეროვანი ჰქონდესთ.

მუხ. 12. ვინც ამ სანიტარების კანონიერ მოთხოვნილებას არ შეასრულებს, იმათ თაობაზე სანიტარები შეადგენენ პროტოკოლს, რომელზედაც სოფლის მოაწერინებენ ხელსა და რომელიც უეზდის უფროსს უნდა წარუდგინონ. ამ შემთხვევაში დამნაშავე დაისჯება მომრიგებელ მოსამართლისაგან წესდების 102 მუხლის ძალით *).

მუხ. 13. ამგვარივე პროტოკოლები უნდა შეადგინონ სანიტარებმა მაშინაც, როცა მედუქნე და სხვა ვინმე დამპალ და გაფუჭებულ ხორაგს ჰყიდის; ამ შემთხვევაში სანიტარებმა თავის პროტოკოლი და ხორაგი ერთად უნდა წარუდგინოს უეზდის უფროსს, რომელიც აქიმს შეამოწმებინებს და თუ მართლა ცუდი გამოდგა, დამნაშავეს კანონით პასუხის-გებაში მისცემს,

*) ეს კანონი ამბობს: „ვინც გადამდები ავათმყოფობის გავრცელების წინააღმდეგ დაწესებულ კანონს არ შეასრულებს, ის დაისჯება ან არა უმეტეს ერთს თვემდე დატუსაღებითა და ან არა უმეტეს ასს მანეთამდე ჯარიმისა.“

განცხადებანი

ტიტულიარნის სოვეტნიკი ეფრემ ფადეიჩი **კობიევი** აუწყებს საყოველთაოთ საცნობლად, რომ თანახმად ახალი წესისა დაწესებულ უმაღლესის მთავრობისა, მივიღე თფილისის ოკრუჟნის სუდიდან მ ო წ მ ო ბ ა პ ო ვ ე რ ნ ი ო ბ ი ს ა, რომლითაც ნება მაქვს საქმეების წარმოებისა სუდებში.

ამისათვის მსურველთ შეუძლიანთ მომანდონ როგორც სხვა და სხვა საქმეები სუდში საწარმოებლად, აგრეთვე დავებისა, რომლებიც აღმოჩნდენ გამიჯვნის დროს.

ამასთანვე ვიღებ უგოლოვნის (სისხლის სამართლის) საქმეებსაც, როგორც ვექილი და გამოცდილი ჩინოვნიკი მყოფი სეკრეტრის თანამდებობაში მექევის ნაწილისა თფილისის ოკრუჟნის სუდში ვიდრე რვა წლამდე.

ბინა მექნება ალექსანდროვის ქუჩაში, იაგორ დემუროვის სახლში, და ხშირად ვიმყოფები შემდეგ ამისა ქ. დუშეთში.

ეფრემ კობიევი

(7—5)

მე საგარეჯოს მამასახლისი საყოველთაოთ ვუცხადებ ყველა მაზრების სოფლების მამასახლისებს, რომ საგარეჯოს მცხოვრებლებს, რომლებსაც ექნებათ საგარეჯოს ნაცვლის სოლომონ ქაფთუაშვილისაგან მიცემული ბილეთები და რომლებსაც არ ექნებათ ზედ დასმული სასოფლო ღერბი, დაიჭირონ ისინი და წარმოადგინონ საგარეჯოში ჩემთან.

საგარეჯოს მამასახლისი ზურაბ მაკანტალაშვილი.

(4—2)

უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

იყიდება ყოველნაირი ახალი ქართული წიგნები.

მაღაზია იმყოფება ბაღის ზემოდამ, ქაშვეთის ეკკლესიის ქვევით დუქნებში. გარეშე პირებს შეუძლიანთ ამ ადრესით დაიბარონ წიგნები: Въ тифлисъ. Въ книжный магазинъ г. Чарквіани.

თფილისში უფ. გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და **ქუთაისში** უფ. კოტე მესხის წიგნისვე მაღაზიაში **ისყიდება:**

ალმანახი

შედგენილი

გ. თუმანიშვილისაგან

წიგნი მეორე

გამოცემული გ. ჩარკვიანისაგან

ფასი—ორი აბაზი

რკ. გზა.	დილა.		სალამ.		II კ.		III კ.	
					მ.	კაპ.	მ.	კაპ.
თფილისი . .	9	21	5	18				
მცხეთა . . .	10	11	6	27	-	85	-	44
გორი. . . .	11	58	9	43	3	„	1	53
ხაშური. . .	1	29	11	57	4	73	2	42
სურამი. . .	1	44			4	90	2	61
ყვირილა . .	5	49			7	21	3	69
რიონი . . .	6	57			8	44	4	31
სამტრედია .	7	51			9	66	4	93
ახალ-სენაკი	8	43			10	71	5	47
ფოთი . . .	9	50			12	24	6	26
ფოთი . . .	9	3						
ახალ-სენაკი	10	14			1	53	-	78
სამტრედია .	11	5			2	61	1	33
რიონი. . .	12	13			3	84	1	97
ყვირილა . .	1	18	ღამე.		5	3	2	56
სურამი . .	5	12	1	10	7	34	3	74
ხაშური . . .	5	39	1	37	7	51	3	84
გორი . . .	7	5	4	8	9	24	4	73
მცხეთა . . .	8	50	6	59	11	39	5	82
თფილის . .	9	31	7	56	12	24	6	26

ტელეგრაფი	მან.	კაპ.
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში.	—	0
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში. .	3	—
იტალიაში და საფრანგეთში .	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ახალციხეს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	3
დაბეჭდილის (ხამი მისხალი) .	8

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 5 ივნისს.		
ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ.	2	—
ფქვილი წითელი . . .	1	60
ქერი ფუთი	1	20
ბამბა ერევნისა, ფუთი .	8	40
— ამერიკისა, ფუთი . .	9	20
გაპენტილი ბამბა ფუთი.	10	60
მატყლი თუშური ფუთი.	8	—
— თარაქამისა ფუთი . .	5	—
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	10
ქონი, ფუთი	5	80
ქონის სანთელი ფუთი .	7	60
სტეარინის სანთელი, ფთ.	12	50
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	76
— ცხვრისა, ლიტრა . .	1	—
სპირტი ვედრო . . .	4	50
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	20
— ფხვნილი ფუთი . . .	5	70
ყავა გრგვალი, გირვ. .	—	65
ზეთი ქუნჯუთისა ფუთი	11	80
თამბაქო, ხაშური ფთ.	7	30

თფილისის სამკურნალო.

ერევნის მაედანზე, წ. ნამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

ო რ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი და ბარალევიჩი—შინაგ. ავათ., ქიუჩარიანცი—ქალის ექიმი და საშვილოსნოს ოპერაციები.

ს ა მ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ. ა. ბახუტოვი—საბებიო და ბავშვის. პეუნოვი—თვალის.

ო თ ხ შ ა ბ ა თ ი: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის.

ხ უ თ შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი—შინაგ., ქიუჩარიანცი—სიფილიტიკური და საშარდე ორგანების.

პ ა რ ა ს კ ე ვ ს: ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—საბებიო, ქალისა და ბავშვების.

შ ა ბ ა თ ს: ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою: Тифлисъ 7 юня 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.